გარდა ამისა, არის საშუალება, რომ მთის მდინარეებისა და ხევების გადაკეტვით მოიწყოს წყალსაცავები, მაგრამ რაიონს თავისი ძალებით ამ საქმის განხორციელება არ შეუძლია. საჭიროა შემდგომი ორგანოების დახმარება.

თითქმის 10 წელია, რაც დამუშავებულია მდინარე ალაზნიდან წყლის მიწოდების სატუმბი სადგურის მოწყობის პროექტი. რითაც გათვალისწინებულია გაწყლოვანდეს შილდის, ენისლის და საბუის მეურნეობების ფართობები, მაგრამ ალაზნის კალაჯ დინჯად ჩაღების მის მარცხენა ნაპირზე გაშენებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რომლებიც ათეული მეტრების დაცილებით ზაფხულის კვალდასაკ ელიან მაცოცხლებელ წყალს.

საგულისხმო და დამფიქრებელია ის გარემოება, რომ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შიდასაპლანტაციო სარწყავი ქსელის მოწყობას.

რწყვის პერიოდში სახელდახელოდ გაკეთებული არხები ვერ ამართლებენ დანიშნულებას. ჯერ ერთი, რომ წყლის დანაკარგები დიდია და, მეორეც, ის, რომ საირიგაციო ნორმების დარღვევით მოწყობილი არხები ტბორავენ ნარგავებს, იწვევენ ნიადაგის გარეცხვას და ამის შედეგად ასეთ რწყვას სარგებლობის მაგიერად ზიანი მოაქვს. მდინარეებმა, შეიძლება ითქვას, დაკარგეს საკუთარი კალაპოტი, გადმოდიან ნაპირებიდან და დიდ მატერიალურ ზიანს აყენებენ სახოგადოებრივ სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს. მათი გამაგრებისათვის გათფლისწინებული დაფინანსება მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს წამოყენებულ მოთხოვნებს. ეთხოვთ ამ მდინარეების გამაგრების საშუშაოებისათვის გაგვიწიოთ სათანადო დახმარება.

დეპუტატ
გ. ი. ბესაევის
სიტყვა

ამჟამად სამხრეთ ოსეთში 10.501 ჰექტარი სარწყავი მიწაა, რომელთაგან ნახევარზე მეტი ცხინვალის რაიონშია. ამ მიწებზე ჰექტარზე ვიწევთ 11-13 ცენტნერით მეტს სამემოდგომო ხორბალს და 5-7 ცენტნერ სიმინდს, ვიდრე საშუალოდ რაიონში. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მხრივაც.

სარწყავი ქსელის გაფართოებამ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გავზარდოთ წარმოება. თუ ოცი წლის წინათ ოლქში იყო მხოლოდ 550 ჰექტარამდე ბაღები, ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ 4.500 ჰექტარი მშვენიერი ბაღები და ვენახები.

ახლა ყველგან წარმოებს რწყვის სამუშაოები, მაგრამ ისინი ყველგან როდია კარგად მოწყობილი. ეს, კერძოდ, შეეხება ცხინვალის რაიონის ძარწენისა და დისვის კოლმეურნეობებს, ზნაურის რაიონის უფეთუთისა და თიღვის კოლმეურნეობებსა და სხვებს.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ავამაღლეთ მეურნეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა წყლის რაციონალური გამოყენებისა და რაიონის საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხი. ამაზე, რა თქმა უნდა, დადებითი შედეგები მოიტანა. რაიონი საქართველოს დედაქალაქისა და ქართველ მეტალურგთა ქალაქის შრომელებს აწვდის ბოსტნეულს, საადრო კარტოფილს, ხილსა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქციას.

სარწყავი მიწების სწორი გამოყენების შედეგად, რომელთა ფართობი შეადგენს 20 ათას ჰექტარს, რაიონში ყოველწლიურად დიდდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

რაიონს სჭირდება დახმარება მთელი რიგი საკითხების დადებით გადაწყვეტაში. იმის გამო, რომ ჩვენი არხების 380 კილომეტრზე მეტი არ არის სანიჭერო ტიპისა, ძნელდება სარწყავი წყლის სწორი გამოყენება. ჩვენ არაერთხელ დაგვიყრია საკითხი სარწყავი ქსელის თანდათანობითი გარდაქმნის შესახებ. ჩვენი არხები ძირითადად იკვებება მდინარე ხრამის წყლით, მაგრამ ზაფხულის პერიოდში წყალს ხრამის ჰიდროელექტრონსადგური აკავებს და არ გვაყოფნის მინდერების მოსარწყავად. გთხოვთ, რომ მოაწესრიგოთ ეს საკითხი, გარდა ამისა, უნდა დაჩქარდეს სადახლოს გვირაბის მშენებლობის სამუშაოები, რომელიც საექსპლოატაციოდ ჯერ კიდევ 1973 წელს უნდა გადაცემულიყო. მაგრამ, დღესაც იქ დიდი სამუშაოებია შესასრულებელი.

რაიონში სერიოზული ყურადღება ეთმობა მელიორაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის საკითხებს,. მაგრამ ჯეროვნად არ არის მექანიზებული შრომატევადი პროცესები მებოსტნეობაში, მეთამბაქოობაში, ეთერზეთოვანი კულტურების ნედეულის წარმოებაში. ეს საკითხები რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს.

ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის
მ. თ. ბაღიშვილის
სიტყვა

ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელიც კოლხეთის დაბლობის ბუოურაფიულ ცენტრშია, ტექნიკურ ექსპლოატაციას უწევს დამშრობ და სარწყავ სისტემებს 40 ათას ჰექტარზე. ეს სამუშაოები 300 კილომეტრზეა გადატიფული და ემსახურება ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

იმისათვის, რომ კოლხეთის დაშრობილი მიწებიდან მივიღოთ უსვი და გარანტირებული მოსავალი, მთავარია სრულ წესრიგში ვიქონიოთ არსებული დამშრობი ქსელი, უზრუნველვყოთ დიდი ნალექების დროული ევაკუაცია, გამოვიყენოთ მეცნიერების მიერ რეკომენდებული და პრაქტიკით შემოწმებული ყველა პიდრო და აგროტექნიკური ხერხი.

სამმართველოს დაშრობი სისტემების მაგისტრალური და კოლექტორული არსების წმენდის 1974 წლის დავალება, 410 ათასი კუბური მეტრის მოცულობით, 1 ივნისისათვის შესრულებულია 60 პროცენტით. ეს სამუშაოები ძირითადად დაკავშირებულია კოლხეთის, განთიადის, ანაკლიის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლხეთის ზონის კოლმეურნეობათა უმრავლესობის სისტემათა მომსახურებასთან. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ სამეურნეოთბათაშორისო დაშრობი და საკოლექტორო არხების მოვლა-პატრონობის საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგია დამყარებული, მეტად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს კოლმეურნეობებისათვის გადაცემული შიდასამეურნეო დამშრობი ქსელის ექსპლოატაცია. ამ ქსელის საერთო სიგრძე მარტო ხობისა და ზუგდიდის რაიონებში 540 კილომეტრია. ხოლო აქ მოწყობილი ნაგებობების რიცხვი 350 შეადგენს, ქსელის წმენდის ასეთი მოცულობის სამუშაოთა ჩატარების შესაძლებლობა მუშახელისა და ხანების მხრივ კოლხეთის ზონის კოლმეურნეობებს არ გააჩნიათ, რის გამოც დამშრობი ქსელის დიდი ნაწილი გაუფუნდავი რჩება, ვერ ატარებს წყლის საჭირო რაოდენობას და მიწები კვლავ ჭაობდება.

არსებული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ყველაზე რეალური საშუალებაა დამშრობი ქსელის ნალექებისა და შამბნარებისაგან წმენდის სამუშაოებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვა. ბუნჯერ ითქვა და დაიწერა დამშრობი ქსელის ნალექებისა და შამბნარებისაგან მწმენდავი ფრეზერული და თორმული მანქანების სერიული გამოშვების, ათვისებისა და წარმოებაში დანერგვის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, ჯერჯერობით პრაქტიკულად გადაუჭრელია.

დეპუტატებს მინდა მოვახსენო, რომ მესტიისა რწყვისასთვის საუკეთესო პირობებია წყლის რესურსების არსებობის, თვითდინებით მორწყვის შესაძლებლობის და ამ საქმეში კოლმეურნეთა დაინტერესების მხრივ. რწყვა აქ დიდ პატივშია, რადგან ვეგეტაციის პერიოდში მცენარეს ტენი აკლია, რითაც მოსავლიანობა საგრძნობლად მცირდება. რაიონში 1710 ჰექტარი ფართობი ირწყვება. რწყვის შედეგად თვითეულ ჰექტარზე 40-50 ცენტნერ საკვებ ბალახებს იღებენ ურწყავის 15-20 ცენტნერის ნაცვლად. ასევე 10-15 ცენტნერის გადამეტებით იღებენ ბუნურულა და კარტოფილს. საჭიროა ზემო სვანეთში სარწყავი მიწების შემდგომი გაფართოება.

დეპუტატ
ლ. მ. ისაკაძის
სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის მოსსენებაში მკაფიოდ აისახა ის დიდი მუშაობა, რომელიც გაწეულია მიწების მელიორაციისა და მელიორირებული მიწების გამოყენების საქმეში.

კასპის რაიონში ყოველწლიურად იზრდება სარწყავი ფართობები, აშენდა ისეთი დიდი სარწყავი სისტემები, როგორიცაა თეძი-ოკამის, ქვემო ხანდაკის, კავთისხევისა და თეძამის სარწყავი სისტემები. ამგვარად რაიონში 18.686 ჰექტარი სარწყავია. მთლიანად უზრუნველყოფილია წყლით მრავალწლოვანი ნარგავები, რომლებსაც 5473 ჰექტარი უკავიათ.

რა სიკეთე მოიტანა ამ სარწყავი სისტემების აშენებამ, ნათლად ჩანს ოკამისა და ქსნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს მაგალითზე. ვისაც წინათ უნახავს ეს ადგილები, ეესმოება, როგორ იყო გადაბუგული, ბუჩქნარით და ქვა-ღორღით დაფარული. ახლა კი იქ გადაჭიმულია ვენახები და ბაღები; სრულიად შეიცვალა სოფლების სახე. მიწებს ნორწყვამ ხელი შეუწყო მებოსტნეობის განვითარებას, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

აღსრულდა სოფელ ხოლეს მკვიდრთა სანუკვარი ოცნება გვალვისაგან გადასრულკული მიწების მორწყვის შესახებ. მტკვრიდან ოთხგზისი ტუმბვის სადგურების აშენებით სარწყავი წყალი მიიღეს ხოლოვმ და მისი მეზობელი სოფლების კოლმეურნეობებმა. მარტო ხოლეს კოლმეურნეობებმა დღეს საშუალება აქვს ახალ სარწყავ მიწებზე გაამენოს 400 ჰექტარამდე ბაღი და 200 ჰექტარამდე ვენახი.

რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კარგად იყენებენ წყალს მოსავლიანობის გასაადიდებლად. ამ მხრივ სამაგალითოა ქვემო ჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობაში სარწყავ ფართობებზე მყარ და უხვ მოსავალს იღებენ. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კოლმეურნეობაში საშუალოდ ერთი ჰექტარიდან ყოველწლიურად იღებენ 27 ცენტნერ მარცვლეულს, 200 ცენტნერ ბოსტნეულს, 600 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, 70 ცენტნერ ხილს და 60 ცენტნერ ყურძენს. სარწყავ წყალს ასევე კარგად იყენებენ სამთავისის, ზეკოხანდაკის კოლმეურნეობების, კოდისწყაროს და ქვათახევის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

ამასთან ერთად არ შეიძლება პირდაპირ არ ითქვას, რომ ყველგან როდი იყენებენ გონივრულად და მოსავლიანობის გასაადიდებლად სარწყავ წყალს. გასულ, 1973 წელს რაიონში სარწყავ მიწებზე საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 18 ცენტნერი მარცვლეული. დაბაობების გამო გამოუყენებელი დარჩა 201 ჰექტარი მიწა. ზოგიერთ მეურნეობაში არდევენენ რწყვის წესებს, ყურადღება არ ექცევა მრწყველთა კადრების მომზადებას, მათი მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებათა გატარებას.

ამჟამად დამთავრების პროცესშია თეძამის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობა. რესუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და „წყალმენის“ ტრესტის ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვიოთ საგარო ღონისძიებანი მისი დროული დამთავრებისათვის. ამასთან ვთხოვთ სამინისტროს ერთულად გადაწყვეტოს თეძამის სარწყავი სისტემის მეორე რიგის მშენებლობის საკითხი, აგრეთვე ქვათახევის საბჭოთა მეურნეობის მიწების მორწყვის საკითხი ნიჩბისის სარწყავი სისტემიდან.

აუცილებელად უნდა განხორციელდეს აშურიანის ველის გაკაფვა. ამ ველზეა მტკვარი, ყარადაჯის და კასპის კოლმეურნეობების 1200 ჰექტარი საუკეთესო მიწები. ამ მიწების მორწყვა შესაძლებელია მტკვარზე წყალსატუმბი სადგურის აგებით.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგის
პ. ს. ფხაკაძის
სიტყვა

კოლხეთის დაბლობი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდნინშვნელოვანი ობიექტია, რომელიც თავისი ბუნებრივი პირობების მისიდგომი ეკონომის ტენიანი სუბტროპიკების ზონას, სადაც შესაძლებელია სუბტროპიკული და ტენიანური კულტურების რენტაბელური მეურნეობათა შექმნა და გაფართოება.

რიგმა თეორიულმა და საველე გაზომვითმა, აგრეთვე არსებული სისტემების ექსპლოატაციის გაძიცდილებამ ნათლად დაადასტურეს, რომ დაჭაობებული ფართობების ნაწილზე განსორციელებული ჰიდრომელიორაციული და აგრომელიორაციული ღონისძიებები, რომელთა ძირითადი მიზანია ზედაპირული ჩამონადენის დაჩქარება, ვერ უზრუნველყოფენ არა მარტო მრავალწლოვანი, არამედ ოვით ერთწლოვანი კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ჭყალ-პაერის რეჟიმს.

ამიტომ ახლა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება იკვლევს ისეთ დამატებითს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაშრობილი მიწების ინტენსიურ ათვისებას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შეშაობა განწევია საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამრობის ტალანებზე.

არსებული მასალების ანალიზმა და თეორიული კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ კოლხეთის სპეციფიკურ პირობებში ბრუნტის წყლის რეჟიმის ნორმალური რეგულირების მისაღწევად აუცილებელია დახურული დრენაჟის არსებული ხაანგარიშო სქემების და მისი ანგარიშის მეთოდების შემდგომი სრულყოფა.. დახურული დრენაჟი, სხვა მელიორაციულ ღონისძიებებთან შედარებით, ხასიათდება რიგი უპირატესობებით. იგი აძლიერებს აერაციას და უზრუნველყოფს მცენარის კვების უფრო ხელსაყრელ პირობებს, ქმნის ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და შენარჩუნებისათვის საჭირო ბრუნტის წყლის რეჟიმს, იძლევა შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაციის საშუალებას, მინიმუმამდე აკლირებს საექსპლოატაციო ხარჯებს და, მაშასადამე, მაქსიმალურად ამცირებს ერთეულ პროდუქციაზე შრომითს დანახარჯებს.

აქედან ნათელია, რომ სოფლის მეურნეობის სასურველ ინტენსიფიკაციას კოლხეთის პირობებში შეგვიძლია მივაღწიოთ მხოლოდ და მხოლოდ დახურული დრენაჟის გამოყენებით.

ხშირად ლაპარაკობენ დრენაჟის მაღალ ღირებულებაზე. ეკონომიური გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების დრო როგორც დრენაჟის, ისე კვალის ფონზე ათვისებულ ფართობებზე შეადგენს 6,4 წელს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დრენაჟის ექსპლოატაციის ხანგრძლივობა შეადგენს 70-80 წელს, ხოლო კვალის მოწყობაზე გაწეული ფულადი ეკონომიათა შეიძლება მისი ნორმალური საექსპლოატაციო მდგომარეობის შენარჩუნება მხოლოდ 7-8 წლის განმავლობაში, და იმ გარემოებას, რომ კვალს თან სდევს სასარგებლო ფართის მნიშვნელოვანი დანაკარგები, მაშინ დასურული სისტემების ყოვლმხრივი უპირატესობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

თეორიული კვლევით მიღებული შედეგების საფუძველ ექსპერიმენტებით შემოწმების მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება აბაშის, ხორგოს და გალის ექსპერიმენტალურ უბნებზე.

დეპუტატ
გ. პ. ბრეგვაძის
სიტყვა

სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, ისევე როგორც საერთოდ ზუსტაფონის რაიონი, მცირემიწიანია; ამიტომ ჩვენ მნიშვნელოვნად დიდ და სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ ყოველი ჰექტარი მიწის მაქსიმალურ გამოყენებას.

სარწყავი მიწების გამოყენების დაბალი დონე ზუსტაფონის რაიონში და, კერძოდ ჩვენს კოლმეურნეობაში გამოწვეულია იმით, რომ ვერ ვამზადებდით ფართობებს რწყვისათვის. შესაბამისი ტექნიკის უქონლობის გამო. რაიონში არ გვაქვს არც ერთი მოსამანდაკებელი და არხსათხრელი მანქანა-იარაღი, ხოლო ნაკვეთების მეტად ოფლიზერო ზედაპირის გამო წყლის მიდგანა მთლიანად ფართობებზე არ ხერხდება. იმეიათად ინერგება რწყვის პროგრესული ფორმები, ჩვენში ნორმალური რწყვისათვის აუცილებელია ნიადაგის მოშანდაკება, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობდა ნათესების მექანიზებული წესით დამუშავებას და მოსავლის უდანაკარგოდ აღებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები წყლის ნაკლებობას ძირითადად იკლის-აგვისტოში და სექტემბრის თვეებში განიცდიან. აჯამების სარწყავი არხი კი, რომელიც ემსახურება ზუსტაფონის, თერჯოლისა და მაიკოფსკის რაიონებს, სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას წყალზე, რადგან არხს არ აქვს სათავე ნაგებობა, რის გამოც იგი ვერ უზრუნველყოფს იმ ოდენობით წყლის მიღებას, რომელიც ფაკმაყოფილებდა სამივე რაიონის მოთხოვნილებას სარწყავ წყალზე. ამიტომ უნდა აშენდეს აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობანი, და რაც შეიძლება სწრაფად. სარწყავად ფართობების მომზადებისათვის გვეჭირდება სათანადო ტექნიკა, ამასთან რაიონში არსებობს დიდი რეზერვი სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისათვის, სარწყავი ფართობების გაზრდისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამასთან, სადგურ სვირთან წყალსატუმბავი სადგურის მოწყობით და მდინარე ყვირილიდან წყლის გადატუმბვით შეიძლება სოფელ მეორე სვირის ლენინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში დამატებით მოირწყას 300 ჰექტარამდე ფართობი. წყალსატუმბი სადგურით ისარგებლებს აგრეთვე როდინაულის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობა და სვირის საველმწყოფი სანერგე მეურნეობა.

მინდა შევეხო შემდეგ მტკივნეულ საკითხს, რომელიც მოითხოვს სათანადო შესწავლასა და გადაჭრას. მდინარე ყვირილა გაშაფხულზე ხშირად ღიდდება. და წალეკავს ნაყოფიერ მიწებს. და ასე, თანდათანობით გვეკარგება ხელიდან ნაყოფიერი და სარწყავი მიწები. ამ მხრივ ასეთივე მდგომარეობაშია ჩვენი მეზობელი თერჯოლის რაიონიც. ამიტომ საჭიროა მოეწყოს მდინარე ყვირილის კალაპოტის რეგულირება აჯამეთის ხარწყავი არხის სათავიდან სადგურ სვირის ხიდ-აკვედუკამდე.

უახლოეს წლებში ზუსტაფონის რაიონში უნდა დაიწყოს მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობა 600 სული მეწველი პირუტყვისათვის. კომპლექსის მშენებლობა გათვალისწინებულია როდინაულის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, ამასთან, დაკავშირებით აუცილებელია ამთავითვე გატარდეს დიდი სამელიორაციო ღონისძიებანი.

„კოლხეთმშენის“ ტრესტის
მმართველის
ა. ბ. გაწერელიას
სიტყვა

კოლხეთის დაბლობი მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, რომელსაც 225 ათასი ჰექტარი უკავია, კავშირში ერთადერთი დიდი ბაზაა სუბტროპიკული მეურნეობის და საკურორტო მშენებლობის განვითარებისათვის. კოლხეთის დაბლობის დაშრობის სამუშაოები დაიწყო 1925 წელს და 1974 წლის 1 იანვრისათვის დაშრობილია 72,5 ათასი ჰექტარი, რომელთაგან რეკონსტრუირებულია წინათ დაშრობილი მიწები 28,5 ათას ჰექტარ ფართობზე.

დაშრობილ მიწებზე გაჩნდა დასახლებული პუნქტები, შეიქმნა კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ამ მიწის მხოლოდ 60-ოდე პროცენტია მოქცეული. დაშრობილი მიწების ათვისების ასეთი დაბალი პროცენტის მიზეზების გამოსავლენად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო სესია, რომელზეც აღინიშნა, რომ კოლხეთის დაშრობისა და ათვისების ღონისძიებებს არ აქვს დართული მეცნიერულად დასაბუთებული ექსპერიმენტული მონაცემები, მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისას არ ითვალისწინებენ კოლხეთის სპეციფიკურ პირობებს, არ ხორციელდება ნიადაგის გაკულტურების ღონისძიებანი უხვად ირეკვება აგროტექნიკური წესები. მოუვლელია შიდასამეურნეო დაშრობილი ქსელი, ამასთან რიგ შემთხვევებში დაბალია საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი. ყოველივე ეს აძნელებს ფართობების ათვისებას.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სესიამ შეიმუშავა დაშრობის სამეშაოთა ძირეული გაუმჯობესების, სპეციორაციო ქსელის მოვლისა და ათვისებისადმი კონტროლის რეკომენდაციები.

ჩვენ, მშენებლები, მხოლოდ საინჟინერო-სამელიორაციო სამუშაოთა დამთავრებითა და დაჭაობებული მიწების დაშრობით როდი ვართ დაინტერესებული. ყველას გვსურს, რომ დაშრობილ მიწებზე გაჩენდა და აყვავდა ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები. ეს ჯილდოა ჩვენი შრომისათვის, და ამიტომ გვტკივა გული, როცა ჩვენს მიერ დაშრობილ მიწებზე ზოგიერთი ხელმძღვანელის გულგრილობისა და უსულგულო მუშაობის გამო არ იცავენ აგროწესებს, ნარგავების დაღუპვას კი მთლიანად კლიმატურ პირობებსა და სამელიორაციო ქსელის დეფექტებს აბრალებენ.

მეცხრე ხუთწლედის სამ წელიწადში ჩვენმა ტრესტმა საგეგმო დავალებანი 101,3 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 6.600 ჰექტარის ნაცვლად სამექანიზატაციოდ გადაეცემოდ 8.800 ჰექტარი დაშრობილი და რეკონსტრუირებული მიწები, მივაღწიეთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შეგეგმითის შემცირებას.

სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის გეგმა ჩვენმა ტრესტმა მხოლოდ 90 პროცენტით შეასრულა, მაგრამ ახლა ყველა პირობა შექმნილი სამუშაოთა დასაჩქარებლად, რათა უთუოდ შევასრულოთ წლიური გეგმა.

დეპუტატ
გ. ს. ძოგულიას
სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქართველოში დიდი მოცულობის სამელიორაციო სამუშაოებია დასახული. იგი ითვალისწინებს 230 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობების საექსპლოატაციოდ გადაცემას, არსებული სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციას 200 ათას ჰექტარზე, კოლხეთის დაბლობის მთლიანად დაშრობასა და ათვისებას, წყალსაცავების მშენებლობას ხრამზე, ალაზანზე, იორსა და სხვა მდინარეებზე.

მნიშვნელოვანი მოცულობის საირიგაციო სამუშაოებია დასახული კახეთის რაიონებში მევენახეობის განვითარების მიზნით, აგრეთვე მარცვლეული კულტურების და მეცხოველეობის საკვები ბაზის შესაქმნელად.

გაგრძელდება ალაზნის მლამობინიადაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი წნორის მეცხოველეობის კომბლექსისათვის საკვები ბაზის შესაქმნელად.

საირიგაციო სამუშაოების მნიშვნელოვანი პროგრამაა დასახული ქართლის რაიონებში, განსაკუთრებით შუა ქართლში, სადაც განსაკუთრებით საჭიროა რწყვა. ამასთან დაკავშირებით უკვე მეორე წელია შენდება წყალსაცავები ალგეთსა და პატარა ლიახვზე. უახლოეს წლებში დაიწყება წყალსაცავის მშენებლობა ხრამზე, ბოლნისის რაიონის დისველის მინდორის მოსარწყავად.

საირიგაციო ღონისძიებები ჩატარდება დასავლეთ საქართველოს რაიონებშიც.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული კოლხეთის მიწების დასაშრობად. სამელიორაციო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მთლიანი კომპლექსით.

კოლხეთის ზონის რთული პირობების გამოცდილებამ ცხადყო, რომ მიწების დაშრობისთანავე აუცილებლად უნდა დაიწყოს ზრუნვა მათ ათვისებაზე, რომ მიღასამეურნეო ქსელს გაუჩნდეს მზრუნველი პატრონი. დაყოფნება იწვევს დასაშრობი ქსელის მდგომარეობის გაუარესებას — არხები სწრაფად იფარება შამბნარით, ამის შედეგად ჩქარდება დალექვა და, მაშასადამე, მცირდება არხის გამტარუნარიანობა. დასაშრობი სისტემის არხები კოლხეთის მიწების სასიცოცხლო არტერიებია და ამიტომ ისინი ყოველთვის მზად უნდა იყოს ზედმეტი წყლის მოსაცილებლად.

კოლხეთის რთული პირობები განსაუთრებულ ყურადღებას ითხოვს მშენებლებისაგან სამშენაოების ხარისხიანად და მთლიანი კომპლექსით შესრულებისადმი.

კოლხეთს სჭირდება მეცნიერების დასაბრება. თითქმის 40 წელზე მეტი გავიდა სამშენაოების დაწყებიდან და ჯერ კიდევ ბევრი გადაუყვანელი და სადავო საკითხია. ამ ხნის განმავლობაში კიდევ არ დამთავრებულა დავა იმის თაობაზე, თუ რამდენად სრულყოფილია კვალი. განა დღეს კიდევ უნდა ვდაობდეთ, სად გამოვიყენოთ დასურული დრენაჟი, სად ღია არხები, ან რა ნიადაგები გვაქვს და რომელი კულტურები შეიძლება განვალაგოთ იქ?

საგრძნა ვიზრუნთ კოლხეთისათვის მოხერხებული მექანიზმების შექმნაზე — დაშრობა ქსელის მოვლა-პატრონობის სრულყოფისათვის, რომ ეს არხები წესრიგში იყოს ყოველთვის და ზედაპირული წყლების ეკაკუაცია შეუფერხებლად ხდებოდეს. ამისათვის კი საჭიროა მანქანებით ამ არხების სისტემატური გაწმენდა ნალექებისა და შამბნარისაგან.

კუთხე უნდა ავიღოთ არსებულ სარწყავ სისტემებში მოძრავი და გადასატანი აგრეგატების ფართოდ გამოყენებაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის მიერ შეძენილი დასაწვიმი აგრეგატების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელია. ამ საქმეს სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მეურნეობები.

ამბ. ზ. ბ. გელდიაშვილის მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობის საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური მშენებლობის პროგრამა მეტად სწრაფად იზრდება. მიმდინარე სუფლეებში თითქმის 2-ჯერ მეტია სამშენებლო სამუშაოები წინა ხუთწლედთან შედარებით. მან მოითხოვა ინდუსტრიული მეთოდების და მექანიზაციის ფართოდ გამოყენება. ამენებულია ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტების დამამზადებელი ქარხნები და პოლიგონები. ისინი მთლიანად უზრუნველყოფენ ამ გაზრდილ მოთხოვნილებას. შექმნილია მიწასათხრელი მექანიზმების მძლავრი პარკი.

რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მრავალათასიანი კოლექტივი ბერრბას იძლევა წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფით და მეურნეობის გაძლოლის მეთოდების გაუმჯობესებით უზრუნველყონ სამელიორაციო ღონისძიებათა დასახული პროგრამის შესრულება დადგენილ ვადებში. (საქინფორმი).

დეპუტატობის კანდიდატები

მაღალნიჭიერება და ოსტატობა

იგი საოცარი გატაცებით და გზნებით თამაშობს ყოველ როლს თეატრსა თუ კინოში. გატაცებით და გზნებით ცხოვრობს იგი ხელოვნებაში. მისი ყოველი როლი ცხადი, მიმზიდველი მიგზავნა თუ ჩაფიქრებული ადამიანის, ქალის სულიერი ცხოვრების სიღრმეებში. საკვირველია ამ ფიქრიანი დიალოგნი! ბავშვობისა და ქალიშვილობის უნიკალურ ზიჯნაზე პიროვნების ჩამოყალიბების მაგიიდან, წინააღმდეგობით აღსავსე, გმირული პათოსიანია და ტეხუნვარე ვნებებით გამსჭვალული ქალია ურთულეს სახეებამდე, ბაფთიანი გოგონა, ივდითი და „ანა ფ“ არკი—თეატრში, სახასიათო, თითქმის ვოდევილური და ლირიკული დიალოგი კინოში („რაც გინახავს, ეეეარ ნახავ“, „არ იდარდო“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ხევსურული ბალადა“, „ფეთოსფელი“).

თითქოს ლაღად და ადვილად მიღწეულ ამ მრავალფეროვნების მიღმა დგანან წლები, თვეები, დღეები და საათები მოწამებრივი, დაუღალავი შრომისა, შემოქმედებითი ფვისა... ვერაფერს იტყვი. ბუნებამ გულუხვად დაადჯრტყა მას თავის კალთა. მისცა ის, რასაც მხოლოდ სიბეჯითით ადამიანი ვერ მიაღწევს — სცენური თუ ეკრანული მიმზიდველობა და დიდი ნიჭი. მაგრამ მაინც ქმის ვოდევილური და ლირიკული დიალოგი კინოში („რაც გინახავს, ეეეარ ნახავ“, „არ იდარდო“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ხევსურული ბალადა“, „ფეთოსფელი“).

ამ მრავალფეროვნების მიღმა დგანან წლები, თვეები, დღეები და საათები მოწამებრივი, დაუღალავი შრომისა, შემოქმედებითი ფვისა... ვერაფერს იტყვი. ბუნებამ გულუხვად დაადჯრტყა მას თავის კალთა. მისცა ის, რასაც მხოლოდ სიბეჯითით ადამიანი ვერ მიაღწევს — სცენური თუ ეკრანული მიმზიდველობა და დიდი ნიჭი. მაგრამ მაინც მისმა დინამიკურმა ხასიათმა, გამუდმებულმა ძიებამ, მომთხოვნელობამ საკუთარი თავის მიმართ და უზარმაზარმა შრომისუნარიანობამ შესძინა მის ნიჭს განუმეორებელი ელვარება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი „საქართველოს სსრ წყლის კოდექსის პროექტის შესახებ“ მოხსენებების გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის

ი. ნ. ლალიძის

სიტყვა

ბუნების სხვა სიმდიდრეთა შორის ადამიანის არსებობის ერთ-ერთ კომპონენტთაგანს — წარმოადგენს წყალი, რომელსაც ზოგჯერ ბატონად დედამიწის „სისხლის მიმოქცევის სისტემას“ უწოდებენ. ამიტომ ძის დაცვა და რაციონალური გამოყენება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

წყლის კოდექსის მიღებით დიდად გაუძლიერდება ამ სფეროში დღემდე არსებული მდგომარეობა და გაძიერდება წყლის მოსარგებლეთა შორის ზოგიერთი გაუგებრობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა დღემდე.

წყლის რესურსების მარაგი ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდია, მაგრამ იგი თანაბრად არ არის განაწილებული დროის და ტერიტორიის მიხედვით და ზოგიერთ რაიონებში უკვე განვიცდით მის ნაკლებობას.

მრეწველობის და სხვათა მიერ გამოყენებული წყლის უდიდესი ნაწილი წარმოების პროცესში ჭუჭყიანდება სხვადასხვა ნივთიერებებით და შენარევებით. ამავე დროს კი ნახმარი წყლების საწმენდი ნაგებობების მშენებლობის მოცულობა და ტემპი ჯერ კიდევ ძალზე დაბალია.

გარდა მრეწველობისა, წყალსატევები ჭუჭყიანდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ნახმარი წყლებით და ნარჩენებით, მათ შორის სოფლის მეურნეობის ობიექტებიდან.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რწყვის დროს ორეულება სხვადასხვა ბუნებრივი მარილები, სასუქები და ბრძოლიმიკატები, და წყალთან ერთად ჩაედინება წყალსატევებში.

ამასთან დაკავშირებით წყლის კოდექსის პროექტში ჩამოყალიბებულია წყალსარგებლობის წესები, წყალმოსარგებლეთა მოვალეობანი და უფლებები, სხვადასხვა ორგანოთა კომპეტენციები წყალსარგებლობაზე უფლებათა მიცემის და მისი შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ და სხვა.

წყლის კოდექსის პროექტში ხაზგასმით არის მითითებული, რომ ბოლო ოცეული ოცეულ ... ...